



სურათებზე: მომენტები იპოდრომზე გამართული ტურნირებიდან.

შ. ზარგარიანის ფოტოები.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1972 წ.

№ 61 (4571)

28 მარტი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან.


# მშდ დაიბადა თბილისში

## ყველასთვის სავალდებულო

300-კაციანი ჯგუფი იპოდრომზე მწყობრი ნაბიჯით შევიდა. ფიზკულტურელებს სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო დროშები, ტრანსპარანტი და პლაკატი მოჰქონდათ. ერთზე იყო წარწერა: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის", მეორეზე კი მშდ კომპლექსის ახალი სამკერდე ნიშანი გამოესახათ.

ესენი იყვნენ თბილისის პროფესიული სავაჭრო და კულინარული სასწავლებლის მოსწავლეები, რომლებიც ფიზაღზრდის უფროსი ხელმძღვანელის, ლევან ნადირაძის წინამძღოლობით კროსებში მშდ კომპლექსით გათვალისწინებული ნორმატივების ჩასაბარებლად მოვიდნენ.

ლევანი 25 წელზე მეტია ამ სასწავლებელში მუშაობს. ცოდნა და გამოცდილება არ აკლია, ახალგაზრდა თაობის აღზრდაში ფიზკულტურის მნიშვნელობაც კარგად იცის. ამიტომ მან ახალი კომპლექსის ნორმატივების გამოქვეყნებისთანავე ჯგუფებში განმარტებითი მუშაობა გაშალა, კონტინგენტი შეარჩია. ნორმატივების ჩაბარება სავალდებულო გახადა 17-30 წლის მოსწავლეებისთვის, მუშა-მოსამსახურეებისთვის, მასწავლებლებისთვის.

იპოდრომზე უკვე მოსულიყვნენ „სპარტაკის" საქალაქო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. აქ იყო სპორტკლუბ „სინათლის", რძის კომბინატის, საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის", პოლიტექნიკური, მანქანათმშენებლობის, ტოპოგრაფიული, ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმების, № 1 და № 2 მუსიკალური, საბიბლიოთეკო სასწავლებლების, თამბაქოს № 2, მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკებისა და სხვა კოლექტივების 2500-მდე ფიზკულტურელი.

„სპარტაკის" ორგანიზაციებში „კროსების დღე" მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მორიგი ეტაპი იყო. სხვა სახეობებში შეჯიბრებები თვითონ კოლექტივებში გაიმართა.

— ჩვენთან კომისიამ უკვე ჩაიბარა ნორმატივები ძელზე მიზიდვაში, ტანვარჯიშულ სკამზე წოლბჯენიდან ღუნწოლბჯენში, ბირთვის კვრაში — გვითხრა კოოპერაციული ტექნიკუმის ფიზაღზრდის უფროსმა ხელმძღვანელმა შ. გონჯნაშვილმა.

მოასპარეზეთ იპოდრომი ძლიერი ქარით შეხვდა, მაგრამ 500 და 1000 მეტრზე რბენა მაინც საინტერესო შეჯიბრებად გადაიქცა.

## უნიშნოდ არავინ უნდა დარჩეს!

სპარტაკელებს იპოდრომი დაკავებული დახვდათ: ყველასთვის დაესწრო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას, რომელმაც სტუდენტებში მუშაობა ასეთი დევიზით გაშალა: „მშდ ახალი კომპლექსის სამკერდე ნიშნის გარეშე არავინ უნდა დარჩეს!" მაგრამ იპოდრომის ვრცელი ტერიტორია ყველას ეყო. უნივერსიტეტის 15 ფაკულტეტის წარმომადგენლებიდან სარბიელზე პირველად 230 წომავალი ფიზიკოსი გამოვიდა. პერე ბრძოლაში დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტის ფიზკულტურელები ჩაებნენ...

— ყველას ერთად მოყვანა შეუძლებელი იყო, ნორმატივების მიმღები კომისია საქმეს ვერ აუვიდოდა, ამიტომ ფაკულტეტებისთვის სპეციალური გრაფიკი შევადგინეთ. ახალი კომპლექსით გათვალისწინებული ჰიგიენის ნორმატივები ბევრმა უკვე ჩააბარა. სხვა ნორმატივებს უნივერსიტეტის ბაზებზე მივიღებთ. სიგრძეზე ხტომის, 100 მეტრზე რბენის, ბირთვის კვრის სექტორები იქაც გვაქვს, ძელი და ტანვარჯიშული სკამებიც გვეშოვება, კროსი კი სულ სხვაა. ვინც დღეს თავს ვერ გამოიჩენს, მომზადებისა და ნორმატივების განმეორებით ჩაბარების საშუალებას მივცემთ — ამბობს უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ელენე გოკიელი...

... გარბენი გარბენს მისდევს, ქალიშვილებს ვაჟები ცვლიან. უამინდობის კვალი შედეგებს აშკარად ეტყობა. ისე ცივა, მზაჯებს გარეთ დგომა უჭირთ. მიუხედავად ამისა, ყოველ გარბენში, რომლის სტარტზეც 40-50 ფიზკულტურელი გამოდის, ნორმატივებს 9-10 მაინც აბარებს. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეორეკურსელმა რუსუდან ჩუბინიძემ ერთ-ერთმა პირველმა ჩააბარა ნორმატივი ოქროს სამკერდე ნიშანზე — 500 მეტრი წუთსა და 39,6 წამში გაირბინა.

## მძლავრი ნაბიჯებით

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსის მოადგილე ალექსანდრე სამანიშვილი, ამავე ქარხნის ადგილკომის თავმჯდომარე მიხეილ სიჭინავა, ლოკომოტივების დეპოს ხარატი, საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი კარლო გვენცაძე, თბილისის სამგზავრო სადგურის პარიკმახერი თთარ ქუსიკაშვილი შედეგებით კმაყოფილნი იყვნენ. კმაყოფილა დარჩა ყველა, ვინც კვირას „ლოკომოტივის" სტადიონის ტერიტორიაზე მოწყობილი კროსის ბილიკებზე წარმატებით იასპარეზა.

თბილისელი რკინიგზელები მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივებს აქ აბარებდნენ. ამ დღეს 700-მდე კაცმა სცადა ბედი და ნორმატივები 270-მა ჩააბარა. სხვებს გამოცდაზე მეორედ მოუწევთ გასვლა, მაგრამ გულდაწყვეტილი არავინ დარჩენილა. ამიერკავკასიის რკინიგზის საფინანსო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ჰ. ქოიავამ სამართლიანად შენიშნა: ახალი კომპლექსი ხომ სიჯანსაღის კომპლექსია, სიჯანსაღისთვის კი რაც მეტს ვირბენთ, მით უკეთესია.

## მსურველთათვის აუზი ღიაა

გუშინწინ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზსაც ვეწვიეთ. აუზის დირექციას კომპლექსის პროპაგანდისთვის ყველაფერი გაუკეთებია. შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული კომპლექსის ნორმატივები, ფოტოგაზეთი „მშდ-ს — ახალი ცხოვრება", განცხადება, რომელიც ნორმატივების ჩასაბარებლად იწვევს ყველა მსურველს. ამ განცხადებით შეიტყობთ, რომ აუზი ყველასთვის ღიაა ყოველდღე 9-დან 14 საათამდე, 17-დან 19 საათამდე, კვირაობით — 8-დან 15 საათამდე.

აუზის სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე ბ. მევედი ამ დროს ნორმატივებს უმაღლესი სპორტული ოსტატობის ძალოსანთა სპეციალიზებული სპორტსკოლის ფიზკულტურელებისგან იბარებდა. აქ იყვნენ რესპუბლიკის ნაკრების წევრებიც და ახალბედებიც. მათ ასაკის მიხედვით სხვადასხვა დისტანცია უნდა გაეცურათ, მაგრამ ბრძოლას ყველა მონდომებით შეუდგა: განთიადელი ოსტატი ვ. კაზანჯიანიც, ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი, 18 წლის სპარტაკელი ნ. ნახუცრიშვილიც, თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი, 13 წლის ვ. მანჯავიძეც, 89-ე სკოლის მეოთხეკლასელი, 10 წლის ზ. ჩხეიძეც...

ძალოსნებს აუზში მოფარიკავეები შეცვლიდნენ, მოფარიკავეებს — სხვა სახეობების წარმომადგენლები.

* * *

წინასწარი მონაცემებით, კვირას თბილისში ყველა ბაზაზე ათი ათასამდე კაცმა ჩააბარა ახალი კომპლექსის რომელიმე ნორმატივი. ეს, კარგად დაწყებული საქმის ჩინებული გაგრძელებაა.

„ლელოს" ბრიგადა.

## მშდ — ყურგანის ოლიმპიადის პროგრამაში

ყურგანელებმა შვიდდღიანი სპორტული ფესტივალით დაამთავრეს თავიანთი „თეთრი ოლიმპიადა", რომელმაც საზეიმო მარშით ჩამოიარა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ქარხნებისა და ფაბრიკების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების დათოვლილი სტადიონები. ამ ერთი ზამთრის მანძილზე მასობრივ შეჯიბრებებში 100 ათასზე მეტმა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა.

ფინალური ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა სათხილამურო რბოლა, ციგურებით სწრაფრბენა, ფიგურული ციგურაობა, ბიატლონი, შაიბიანი ჰოკეი, ჰოკეი ბურთით.

გუნდებს შორის გამარჯვება ყარგოპოლის რაიონის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. მათ გადაეცათ პრიზი მასობრიობისა და ოსტატობისთვის, რომელიც მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იყო დაწესებული.

იმიერურალელებმა გადაწყვიტეს ასპარეზობა ხუთი რგოლის ემბლემით ოლიმპიური წლის ბოლომდე გააგრძელონ. ზაფხულის თვეებში ისინი „ოქროს თავთავის" სტარტებზე გამოვლენ, რომლის პროგრამაშიც მშდ ახალი საკავშირო კომპლექსის მრავალჭიდიც არის შეტანილი.

## საკავშირო ჩემპიონატი



ჩელიაბინსკში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ბოლოსწინა ტურში მოსკოვის დინამოელებმა მოუგეს ტაშკენტის „ავტომობილისტს" (3:1) და სსრ კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლები გაინაღდეს. მათ მეათედ მოიპოვეს ეს მაღალი წოდება. ამ დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — ცსკა 3:2, „დინამო" (კრასნოდარი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:3, „ნევთჩი" (ბაქო) — „ბურევესტნიკი" (ოდესა) 2:3. ჩელიაბინსკის ტურის ბოლო მატჩში მოსკოვის დინამოელები შეხვდნენ ტურში დაუმარცხებელ ლენინგრადის „ბურევესტნიკს". ჩემპიონები მოწინააღმდეგეს მაღლიდან აღმოჩნდნენ და დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს — 3:2. ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს მოსკოველმა არმიელებმა, ხოლო ბრინჯაოსი — ბაქოს „ნევთჩის" სპორტსმენებმა. უმაღლეს ლიგას დატოვებენ კრასნოდარის „დინამოს" ფრენბურთელები, ხოლო მათ ადგილს სავარაუდოდ ლენინგრადის „სპარტაკი" დაიკავებს.

სურათზე: დაძაბული მომენტი მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს მატჩიდან, რომელშიც გამარჯვება დინამოელებმა იზეიმეს — 3:2.

ე. ტკაჩენკოს ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაყურებელი და სპორტსმენი

ამ ცოტა ხნის წინ თბილისში კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი გაიმართა. დიდი ხანია სპორტის სასახლის ტრიბუნებზე კალათბურთის მოყვარულთა ასეთი სიმრავლე არ ყოფილა. ამის ერთი მთავარი მიზეზი თბილისური გუნდების საინტერესო თამაშიც იყო, მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი პირველობის სატურნირო ცხრილში მათ არასახარბიელო ადგილი უკავიათ. დიახ, როცა საქართველოს გუნდები საინტერესოდ ასპარეზობენ, ჩვენი მომთხოვნი მაყურებელი სიხარულით მოდის თამაშის სანახავად. სწორედ ამ მატჩებმა შეგვიკარნახა ჩვენი დღევანდელი წერილისთვის ეს სათაური შეგვერჩია. ის, რაზეც ახლა გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ, მარტო უკანასკნელ მატჩებს, მარტო კალათბურთელთა ასპარეზობას არ ეხება. ამას ხაზგასმით აღვნიშნავთ.

დღეს ალბათ ზედმეტია ლაპარაკი სპორტის განუზომელ მნიშვნელობაზე. იგი ადამიანს რკინისებური ჯანმრთელობის, მძლავრი კუნთების გარდა, დიდი სიამოვნებით, ესთეტიკური ტკბობითაც აჯილდოებს, ნერგავს და ავითარებს უკეთილშობილესსა და ადამიანურ გრძნობებს, თვისებებს — ვაჟკაცობასა და ამხანაობას, მეგობრობასა და ერთგულებას, სილამაზეს... ამ სიკეთით შემკული სახელოვანი სპორტსმენები სამაგალითონი არიან ათეულ ათასობით ადამიანისთვის, განსაკუთრებით მოზარდი თაობისთვის.

იყო დრო ყველა პატარა ბიჭს პაიჭაძეობა სურდა, უნდოდა კარცივაძეს დამსგავსებოდა. დღეს ყველა მოჭადრაკე გოგონას იდეალი ნონა გაფრინდაშვილია, ჩოგბურთს ალექსანდრე მეტრეველის სიყვარულით ეუფლებიან. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

საქართველოში ახლაც ლეგენდად დადის ნესტორ ესებუას, კულა გლდანელის, სანდრო კანდელაკის და სხვათა სახელები. დღეს, ცოტა არ იყოს, განებივრებული ვართ სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა სიმრავლით (განა არ ვიცით ქვეყნები, რომლებსაც თითო-ოროლა ჩემპიონი აღუზრდიათ და ისინი ეროვნულ გმირებად გამოუცხადებიათ?) და ეს სავსებით ბუნებრივია, დღევანდელობას, საბჭოთა ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემას შეუძლებელია სათანადო შედეგი არ მოჰქონდეს.

და რამდენად ფართო გამოხატულებას ჰპოვებს ეს შედეგი ერთეულებში, ჩემპიონთა, რეკორდსმენთა, უძლიერესთა ერთეულებში, იმდენად დიდმნიშვნელოვანია სპორტის აღმზრდელობითი როლი. სპორტი განსაკუთრებულ, საინტერესო, ნაყოფიერ გავლენას ახდენს ხალხზე, რომელსაც მაყურებლების, გულშემატკივრების კატეგორიას მივაკუთვნებთ.

გულშემატკივრები, ეს საოცარი, სპორტის უსაზღვროდ მოყვარული ადამიანები, „საკუთარი" გუნდების ერთგულების, საყვარელი სახეობის ცოდნის ჩინებულ მაგალითს გვიჩვენებენ. კარგი ასპარეზობა მათთვის დიდი დღესასწაულია, სათაყვანებელი გუნდის წარმატება, წინსვლა — სტიმულის მიმცემი. ამ გუნდის ყოველ შეფერხებას ისინი საკუთარი ტკივილივით განიცდიან. ერთი სიტყვით, შეუძლებელია ჭეშმარიტ გულშემატკივარს პატივს არ სცემდე.

სპორტსმენთა უმრავლესობისთვის არ არსებობს იმაზე დიდი ჯილდო, ვიდრე გულშემატკივართა მოწონება: მათი ტაში. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი არიან მაყურებლები და სპორტსმენები ურთმანეთოდ.

მაყურებელი და სპორტსმენი... დიდ სპორტულ ასპარეზობას სადღესასწაულო ელფერს ანიჭებს მაყურებლებით სავსე ტრიბუნები. თითქოს უხილავი გენებით გადაეცემათ მათ ერთმანეთის ემოციები. მაყურებელი აღიქვამს არა მარტო სპორტულ პერიპეტიებს, არამედ საუცხოოდ გრძნობს სპორტსმენის ანდა კოლექტივის ფსიქოლოგიური მდგომარეობის თვით უმნიშვნელოვანეს ნიუანსსაც კი. ამიტომ დიდი შეჯიბრებების პროცესში მაყურებლებისა და სპორტსმენების თავისებური კონტაქტი საგრძნობლად მოქმედებს ასპარეზობის მიმდინარეობაზე. თუ ეს უხილავი კავშირი ჯანსაღი ემოციებიდან მომდინარეობს, მაშინ ჭიდაობა, როგორც სანახაობრივი, ისე შინაარსობრივი მნიშვნელობით, სიამოვნებისა და დატკბობის წყაროდ იქცევა. თუ არა და...

და აი, დადგა დრო ვთქვათ ის, რაც ალბათ აქამდეც უნდა გვეთქვა. მაყურებლის კულტურა, კულტურა, რომლითაც სახელგანთქმული იყო ქართველ გულშემატკივართა მრავალი თაობა, ისინი, ვის გემოვნებასაც, ვის აზრსაც ასე აფასებდნენ არა მარტო ჩვენი, არამედ უცხო გუნდები, სპორტსმენები.

ამ სტრიქონებს მიზნად არ აქვს ვინმეს გული ატკინოს უსამართლო პრეტენზიებით. პირიქით, დაბეჯითებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მაყურებლების უმრავლესობა თავისი ობიექტურობით, თავდაჭერილობით, ცოდნით სპორტსმენთა, სპეციალისტთა გულწრფელ პატივისცემას იმსახურებს. მაგრამ ისიც დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ...

რათა მსჯელობა ზოგადი არ გამოგვივიდეს, მაგალითისთვის თბილისის „დინამოს" და მოსკოვის არმიელი კალათბურთელების ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული მატჩი გავიხსენოთ. ამ კოლექტივებს რეკომენდაციები არ სჭირდებათ. ისინი სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნისა და ევროპის უძლიერესი გუნდების ტიტულს ფლობდნენ. მატჩმა, რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ გულშემატკივრები, როგორც მოსალოდნელი იყო, აუარებელი მაყურებელი მიიზიდა.

ვფიქრობთ, საჭირო არ არის ვილაპარაკოთ ამ საინტერესო შეხვედრის სპორტულ მხარეზე. მილიონობით მაყურებელმა საქართველოსა და ცენტრალური ტელევიზიით ნახა ძველი მეტოქეების ასპარეზობა. შეჯიბრების მიმდინარეობა გააშუქა სპორტულმა პრესამ. მაგრამ ვერსად, ვერც ერთ წერილში ვერ ამოვიკითხეთ ის, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს დიდი სპორტული შეჯიბრებების ატმოსფეროსთან, თუმცა, სამწუხაროდ, მისი სიუჟეტი საგრძნობლად გაუფერულდა.

მაყურებელი და სპორტსმენი... აი, ამ კუთხით გვინდა განვიხილოთ ეს მრავალმხრივ საყურადღებო მატჩი. დიახ, მოედანზე იყვნენ მაღალი კლასის ოსტატები, ბევრი მათგანი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრია. ტრიბუნებზე ისხდნენ მაყურებლები, რომელთა საკმაოდ დიდ ნაწილს საუცხოოდ ესმის კალათბურთი. თითქოს მეტი რა სჭირდება ასპარეზობას, რათა ჭეშმარიტ სანახაობად იქცეს?

და აი, აქ იძულებული ვართ ვილაპარაკოთ მაყურებელთა უმნიშვნელო ნაწილზე, რომელიც „სცენაზე" მაშინ გამოდის, როცა შეჯიბრება კულმინაციას აღწევს, როცა სპორტსმენთა თავგამოდებულმა თამაშმა ლოგიკური დაბოლოება უნდა ჰპოვოს, როცა წყდება სპორტის ერთ-ერთი მომხიბლავი პრობლემის არსი — მოგება-წაგება. არა, ისინი არ ეძიებენ ფუჭ დიდებას. საეჭვოა, საერთოდ აინტერესებთ თუ არა კალათბურთი, რადგანაც მათი რეაქციის მიხედვით სპორტის ამ სახეობის ელემენტარული წესების არცოდნაც კი ცნაურდება. ისინი ამჟღავნებენ უპატივცემლობას არა მარტო სპორტსმენების, მსაჯების, მაყურებლებისადმი, არამედ ერთმანეთის მიმართაც. მატჩის ნებისმიერი ფრაგმენტი, რომელიც მათი გონების პრიზმაში გაივლის, საოცრად დამახინჯებული და დეფორმირებული სახით წარმოგვიდგება. სწორედ მათი მიზეზით ცვივა პირდაპირ მოედანზე ათასნაირი ნივთი, მათი ბაგეებიდან ისმის მსაჯებისა და სპორტსმენების შეურაცხმყოფელი შეძახილები. რა თქმა უნდა, ეს აღფრთოვანებით როდია გამოწვეული, ალბათ უფრო ცხოველური აღტყინებითა და უაზრო გაბოროტებით.

ისინი სხვა მატჩებზეც იყვნენ, ალბათ მომავალშიც იქნებიან. სხედან ერთმანეთის გვერდით ანდა ცალ-ცალკე. ბუნებრივია, ითქვიფებიან მაყურებელთა საერთო მასაში. მაგრამ, მიუხედავად მათი უმნიშვნელო რიცხვისა, მთელი დარბაზი, თვით სპორტსმენებიც, გამუდმებით გრძნობენ მათს ყოფნას. ყველაზე იოლი გზაა, რომ ისინი ხელაღებით გამოვაცხადოთ ხულიგნებად. მართლაც ასეა, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა გავარკვიოთ: რა მიზანი ამოძრავებთ, რა უნდათ?

შეჯიბრების ჩაშლა? სპორტული მეტოქის დამცირება? მაყურებელთა უმრავლესობის კომპრომეტაცია? ჩვენ განგებ აღარ ვსვამთ კითხვებს. ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია. ასეთი „მაყურებლები" სათოფეზე არ უნდა გავაკაროთ სპორტულ შეჯიბრებებს (და არა მარტო სპორტულ შეჯიბრებებს). და მაინც, ამ „რაინდებმა" იმ საღამოს (და არა მარტო იმ საღამოს) ნაწილობრივ მიაღწიეს თავის მიზანს. ათასობით გულშემატკივარმა გაწბილებულმა, თავჩაქინდრულმა დატოვა სპორტის სასახლე. ვფიქრობთ, ეს იმდენად მატჩის შედეგით არ იყო გამოწვეული, რამდენადაც ხულიგანთა სამარცხვინო მოქცევით.

ნ. ფოფხაძე,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ვინც ამ მატჩს დაესწრო, ვთხოვთ ჰკითხოს საკუთარ თავს: თითოეულმა ჩვენგანმა გააკეთა კი ყველაფერი იმისთვის, რომ ხულიგნებს შეურაცხყოფა არ მოეყენებინათ პირველ რიგში ჩვენთვის, ჩვენი ქალაქისთვის, ჩვენი რესპუბლიკისთვის? აქტიურად აღვუდექით კი წინ უმსგავსოებას, დავანახეთ მათ ჩვენი აღშფოთება? პასუხის გასაცემად დიდი განჭვრეტა არ არის საჭირო. მაგრამ, სამწუხაროდ (რა ხშირად გვიხდება წერილში ამ სიტყვის გამეორება) ეს გახლავთ მედლის მხოლოდ ერთი მხარე.

მაყურებელი და სპორტსმენი... ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ სპორტში იჭედება არა მარტო რეკორდები, მედლები, გამარჯვება, არამედ, რაც მთავარია, ნამდვილი მეგობრობისა და ამხანაგობის სულისკვეთება. განა ამას არ გულისხმობს ნებისმიერი შეჯიბრება, განა სპორტი ადამიანის სულიერი სრულყოფისთვის არ არის მოწოდებული? განა ერთი სიამოვნება არაა, დამარცხებული ფალავანი ძმურად რომ გადაკოცნის გამარჯვებულს და ისე დაშორდება, ხინჯს არ გაიკარებს გულში? განა მართლა იმდენად დიდი ზღვარია სპორტში გამარჯვებასა და დამარცხებას შორის? (ხანდახან ეს ზღვარი ხომ მხოლოდ ერთ ქულაში, წამის ერთ მეათედში გამოიხატება). რამდენჯერ გვინახავს, ღირსეული მეტოქეების პატიოსანი და შეუპოვარი ასპარეზობის შემდეგ როგორ გაუცილებია ისინი სარბიელიდან მაყურებლებს, როგორ მიუზღავს პატივი და დაფასება როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული სპორტსმენისთვის.

აი, მთავრდება მარათონული რბენის დისტანცია. მორბენლები ფინიშის ხაზს უახლოვდებიან. უკვე მნიშვნელობა არა აქვს, პირველი იქნები თუ ბოლო, მაყურებელთა კეთილი განწყობა მაინც შენს მხარეზეა. მაყურებელს მშვენივრად ესმის, რომ ამ „ზვერძელ" დისტანციას მორბენალმა შესწირა მთელი ძალ-ღონე, და კიდევ უფრო მეტიც, იგი ებრძოდა კილომეტრებს, დაღლილობას, მზეს, წვიმას, უამინდობას, იგი სულმოუთქმელად მიისწრაფოდა გამარჯვებისკენ. მაგრამ გამარჯვებული ხომ მხოლოდ ერთია. სახელი და დიდება მას. მაგრამ რა იქნებოდა ამ გამარჯვების ფასი, ძლიერ, მტკიცე ნებისყოფის პარტნიორებთან ასპარეზობაში რომ არ გამოჭედილიყო. აი, ეს არის სპორტი...

შახმურადოვი და თედიაშვილი... როცა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ამ სპორტსმენებმა ძალა მოსინჯეს, ძნელი სათქმელი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. თედიაშვილმა მოუგო თავის უფროს მეგობარს, ვის ვის და, შახმურადოვს ყველაზე მეტად უნდა სწყენოდა ეს დამარცხება. მსოფლიო ჩემპიონს, ევროპის პირველობის ორგზის კავალერს, ახალგაზრდა მეტოქესთან პაექრობაში არ უნდოდა დაკთმო ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ფალავნის სახელი. შახმურადოვი დამარცხდა, მაგრამ დამარცხდა ღირსეულად, ვაჟკაცურად. მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს იგი. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მახაჩყალელმა ფალავანმა პირველმა მიულოცა გამარჯვება თედიაშვილს, მიულოცა გულწრფელად, ძმურად. თუმცა, როგორც სპორტსმენს, უთუოდ ეთანაღრებოდა გული. რა ვუყოთ, იმარჯვებს უძლიერესი. აი, ეს არის სპორტი...

როცა ახლახანს თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელები მოსკოველ არმიელებს შეხვდნენ, ქართველ სტუდენტთა გამარჯვებას არავინ წინასწარმეტყველებდა. ასეც მოხდა. მაგრამ თბილისელებმა იმ დღეს მაყურებელს ისეთი ცეცხლოვანი, თავდადებული და, რაც მთავარია, ვაჟკაცური თამაში უჩვენეს, რომ მართლაც მოიგეს კალათბურთის მოყვარულთა გული. ისინი ყველამ ტაშით გააცილა. აი, ეს არის სპორტი.

აი, აქ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ: როცა ვამბობთ, რომ სპორტი მედლებისა და რეკორდების გარდა არის კოლექტივიზმი, მეგობრობა, ამხანაგობა, ამას მარტო მოასპარეზეთა, სპორტსმენთა შორის როდი ვგულისხმობთ. მეგობრობა, ამხანაგობა, მხარდაჭერა, გამხნევება პირველ ყოვლისა გვესმის, როგორც მაყურებლებისა და სპორტსმენების კონტაქტი, მათი ურთიერთპატივისცემა, ურთიერთმხარდაჭერა, ურთიერთგამხნევება...

გაიხსენეთ, რამდენი მატჩი მოუგიათ ჩვენს გუნდებს, რამდენი შეხვედრა — ცალკეულ სპორტსმენებს, მაყურებელთა ერთსულოვანი მხარდაჭერის წყალობით. ტყუილად ხომ არ ამბობენ, შინ კედლებიც გვეხმარებაო.

არ გვინდა ვინმემ ისე გაგვიგოს, თითქოს სპორტსმენებისა და მაყურებლების ურთიერთკავშირში მთავარ როლს ამ უკანასკნელთ ვაკისრებდეთ. არა, მთავარი ფიგურა გახლავთ სპორტსმენი, რომელსაც ბევრი რამ მოეთხოვება, მით უმეტეს, მაშინ, როცა ათი ათასობით თვალი შეჰყურებს. მაყურებელს არ ეპარება სპორტსმენის უმნიშვნელო მოძრაობაც კი. იგი იმ წუთში სპორტსმენის ცხოვრებით ცხოვრობს.

ასპარეზობის დაძაბულ ატმოსფეროში, როცა მოპაექრეთა ძალა, აზრი მიმართულია მთავარი მიზნის — გამარჯვებისკენ. სპორტსმენისთვის, რა თქმა უნდა, ძნელია კონტროლი გაუწიოს საკუთარ ნერვებს, ქცევას, ემოციებს. ძნელია, მაგრამ აუცილებელი.

აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ისევე დაძაბულია მაყურებელიც, რომლის ფსიქოლოგიურ განწყობაზე მოასპარეზის ქცევა მოქმედებს.

მოდით, ვიყოთ გულახდილნი, ნუ დავუმალავთ ერთმანეთს, რომ თითოეული ჩვენგანი მეტნაკლებად სუბიექტურია (ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით) საკუთარი გუნდის, სპორტსმენების გამოსვლისადმი. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ ამ სუბიექტურობამ არასოდეს უნდა გადააჭარბოს ობიექტურობის გრძნობას. სამწუხაროდ, ხშირად მაყურებელთა ობიექტურობის დაკარგვის მიზეზი ისევ ჩვენი გუნდები, ჩვენი სპორტსმენები არიან. საკმარისია საკონფლიქტო სიტუაციაში „ჩვენების" უკმაყოფილო იერი, შეძახილი თუ ხელების გაშლა და... სოციოლოგები ადასტურებენ, თუ რაოდენ რთულია ამ შემთხვევაში ხალხის რეაქციის რეგულირება.

გავიხსენოთ, რა ემოციები გამოიწვია უკანასკნელი მატჩების მაყურებლებში თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ზოგიერთმა კალათბურთელმა. სამწუხაროდ (ამ სიტყვას ვერც ახლა ავცდით), უარყოფითი. მხედველობაში გვაქვს, შერბილებულად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ სპორტსმენის თავშეუკავებლობა, მეტოქისადმი უპატივცემლობა, აპელაციები მსაჯებისა და მაყურებლებისადმი.

და კიდევ ერთი: ხშირად ერთმანეთისთვის ნამუსის მოსახდელად ჩვენს თავშეუკავებლობას სამხრეთულ, ქართულ ტემპერამენტს ვაბრალებთ. ტყუილი თავის მართლებაა. მოედანზე ჭიჭყინი, ყვირილი, ერთმანეთში დავა, ზოგჯერ შეურაცხყოფაც კი, არავითარ კავშირში არ არის ტემპერამენტთან. ეს აღზრდის ნაკლია, დაბალი კულტურის შედეგია. ეს აუცილებლად უნდა შეიგნოს ბევრმა ჩვენმა სპორტსმენმა, კალათბურთელი იქნება თუ ხელბურთელი, ფეხბურთელი თუ სხვა.

სპორტსმენი, მით უმეტეს მაღალი კლასისა, მოწოდებულია თავისებურ ნიმუშად იქცეს მაყურებლისთვის. თუ სპორტსმენი მასპინძლის როლში გამოდის, მისი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება. დიახ, ეს თვისება ხშირად არა აქვთ ჩვენს სპორტსმენებს.

საერთოდ, ჩვენი გუნდები, რომლებიც ტრადიციულად მაღალტექნიკურად თამაშობენ და საბჭოთა სპორტის ლიდერებად არიან აღიარებულნი, უფრო მეტად უნდა გაუფრთხილდნენ კეთილი მასპინძლის სახელს. მით უმეტეს, რომ ჩვენს ხალხს საუკუნეთა მანძილზე სამართლიანად მოაქვს თავი სტუმართმოყვარეობით.

მაყურებელი და სპორტსმენი... მათ მუდმივი დიალოგი აქვთ ერთმანეთთან. რა ვუყოთ, თუ ეს დიალოგი სიტყვიერად არ არის გამოხატული, მაგრამ მთავარი ისაა, რას ამბობს ეს დიალოგი, როგორია იგი, კეთილისმყოფელი თუ...

აქ გვინდა ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ ის დიდი როლი, რომელიც შეუძლია და უნდა შეასრულოს კიდეც პრესამ, ტელევიზიამ, რადიომ სპორტსმენთა და მაყურებელთა აღზრდის საქმეში. სამწუხაროდ, პრესაში გამოქვეყნებულ მიმოხილვებსა და ანგარიშებში თამაშის ანალიზთან ერთად იშვიათად თუ შეხვდებით წმინდა ადამიანური სიტუაციების შეფასებას. ასეთი სიტუაცია კი თითოეულ მატჩში რამდენიც გნებავთ იმდენია. ყურადღებისა და ფიქსირების გარეშე არ უნდა დარჩეს სპორტსმენთა არც ერთი უღირსი საქციელი (ეს მარტო პრესას როდი ეხება), ხოლო უნდა წახალისდეს, სამაგალითოდ უნდა იქცეს ამა თუ იმ სპორტსმენის კეთილშობილება, დიდსულოვნება, რაინდობა. ხომ არ შეიძლება ყოველთვის ყველაფერი დაბრალდეს მსაჯს, მის შეცდომებს?

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა სპორტით დაინტერესებას მარტო შეჯიბრებებზე დასწრებით როდი უნდა ამჟღავნებდეს. სპორტსმენები ხშირი სტუმრები უნდა იყვნენ მუშათა კოლექტივებისა, საწარმო-დაწესებულებებისა, სასწავლებლებისა. და ეს სტუმრობა მარტო დითირამბების მღერად არ უნდა იქცეს. საჭიროა პრაქტიკაში დაინერგოს სპორტსმენთა ანგარიშგება საზოგადოებრიობის წინაშე, წარმოება-დაწესებულებების შეფობა ცალკეულ გუნდებზე. ამ საქმეს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანოებთან ერთად თავი უნდა დაადგან საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ისიც საჭიროა, რომ დიდ სპორტულ ობიექტებთან, ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებთან ჩამოყალიბდეს გულშემატკივართა და მაყურებელთა კლუბები, გაერთიანებები. ეს მეტ ორგანიზებულობას შეიტანს მაყურებლებთან მუშაობაში, და რაც უფრო მალე გავაკეთებთ ამას, მით უფრო სასარგებლო იქნება საერთო საქმისთვის.

შეუძლებელია დასასრულს ისიც არ ითქვას, რომ ჩვენი სპორტის გარემოცვაში აბსოლუტური სიჯანსაღისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაღალკვალიფიციურ, პრინციპულ, ობიექტურ მსაჯობას. სამწუხაროდ, ცალკეულ შემთხვევებში ამ მოთხოვნებს ზოგიერთი არბიტრი ვერ ამართლებს. სპორტულმა საზოგადოებრიობამ უნდა გაილაშქროს ასეთი მოვლენების წინააღმდეგ. ჩვენ — ყველას ერთად შეგვწევს ძალა, რომ სპორტი ემსახურებოდეს ყველაზე კეთილშობილ ამოცანას — ჩვენი ხალხის ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის სრულყოფას.

მაყურებელი და სპორტსმენი... ეს თემა ნამდვილად საჭირბოროტო და აქტუალურია. ის, რაც ზოგჯერ ჩვენს სტადიონებზე და დარბაზებში ხდება, სამწუხარო მოგონებად რჩება სპორტის ყველა ჭეშმარიტი მოყვარულისთვის. ჩვენზე, საზოგადოებრივ აზრზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული, რამდენად სწრაფად ამოიძირკვება „სარეველები" ობიექტური და სპორტის ნამდვილი მოყვარული გულშემატკივრებისა და მაყურებლების ვეებერთელა არმიის რიგებიდან.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ ცნობილ საბჭოთა სპორტსმენებს, კალათბურთელ ზ. საკანდელიძეს და მშვილდოსან ლ. ასატუროვას პიონერთა წრეში. ახლახან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ნორჩმა სპორტსმენებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ძათ. საკანდელიძემ და ასატუროვამ პიონერებს უამბეს, როგორ ემზადებიან მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის.

ი. ლუკაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ვეტერანის პრიზზე

26 მარტს გაიმართა შ. შავგულიძის სახელობის თასის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

ჩვენი კორესპონდენტი **გ. ბასილაია** ფოთიდან გვატყობინებს ადგილობრივი „კოლხეთისა" და სოხუმის „დინამოს" ფეხბურთელთა შეხვედრაზე:

ფოთში ამ დღეს თოვდა, წვიმდა და ატალახებულ მინდორზე თამაში საგრძნობლად ჭირდა. მიუხედავად ამისა, ორივე გუნდმა ენერგიულად იბრძოლა წარმატების მისაღწევად.

მატჩის დასაწყისში „კოლხეთის" კართან მომხდარი არეულობით კარგად ისარგებლა დინამოელმა გაბესკირიამ და ზუსტად გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარში. — 1:0. ფოთელებმა მარცხს ძლიერი კონტრშეტევით უპასუხეს და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. კერძოდ, გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა სანაიას. 25-ე წუთზე სანაიამ კარგად გადასცა ბურთი ჭედიას, ეს უკანასკნელი გაექცა მცველს და გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა რამდენადმე იკლო, მაგრამ საერთო უპირატესობას კოლხეთელები ფლობდნენ. სოხუმელთა კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ არც ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია. ამაში „დამნაშავე" იყო დინამოელთა ახალგაზრდა მეკარე გაბელია, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა და რამდენიმე ძალზე ძნელი ბურთი აიღო.

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილება მიეცა სოხუმელ გაბესკირიას.

ლესელიძეში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „დინამო" და რუსთავის „მეტალურგი". ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა რუსთაველთა ნახევარმცველმა ჩიტაურმა. ეს გოლი ტაიმის დასასრულს გაქვითა ხიზანიშვილმა, მაგრამ მეტალურგებმა მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება: მეორე ტაიმში ბათუმელები იძულებული იყვნენ აკრძალული ილეთით შეეჩერებინათ სახიფათო პოზიციაში გასული ბაჩიაშვილი და 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა ილიადიმ — 2:1.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მატჩი მახარაძეში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „მერცხალი" და გორის „დილა". ჯერ დაწინაურდნენ გორელები (ჟორჟენაძე), შემდგომში მასპინძლებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა და გამარჯვებასაც მიაღწიეს (ბახტაძე, ჭელიძე).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 3 | 2 | 1 | 0 | 6—3 | 5 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „დინამო" (ბათუმი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—2 | 4 |
| „დინამო" (სოხუმი) | 4 | 0 | 3 | 1 | 1—2 | 3 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 3 | 0 | 2 | 1 | 2—4 | 2 |
| „დილა" (გორი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—3 | 2 |

## 2 და 28 ივლისს

25 მარტს გამოვლინდა ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების ყველა ნახევარფინალისტი.

სოჭის სტადიონზე მოსკოვის ტორპედოელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი". ორივე ბურთი გაიტანა სმირნოვმა.

ხოსტაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები — „ლოკომოტივი" და „სპარტაკი". აქ დაწინაურდნენ რკინიგზელები (კოზლოვი), მაგრამ სპარტაკელმა ფედოროვიჩმა 2 ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში — 2:1. ამას გარდა სპარტაკელმა ლოგოფეტმა ვერ გამოიყენა პენალტი.

დაბოლოს, სოჭში თამაშობდნენ ცსკა და როსტოვის არმიელთა გუნდი. მოსკოველებმა გაიმარჯვეს — 3:0, ამასთან „ჰეტ-ტრიკი" შეასრულა კოპეიკინმა — სამივე ბურთი გაიტანა თავით.

ნახევარფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „კარპატი" (ლვოვი).

ცსკა — „ტორპედო" (მოსკოვი).

ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 2 და 28 ივლისს.

# პროგრამა ვერ ამოწურეს

პლანიცის უდიდეს ტრამპლინზე გამართული პირველი მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებით ფრენაში, მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: სპორტსმენებმა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სასპარეზო პროგრამა ვერ ამოწურეს.

რეგლამენტით, უძლიერესის ვინაობა შაბათ-კვირას გამართული 2-2 ცდის ჯამის შედეგებით უნდა გაერკვიათ. შაბათს ყველაზე კარგი მაჩვენებელი საპოროს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ვ. შტაინერმა (შვეიცარია) მოიპოვა. ეს ის შტაინერია, რომელმაც წინადღით ტრამპლინის გახსნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაშიც იმარჯვა — 163 მეტრზე გადახტა. შტაინერის ფრენის სიჩქარე მაშინ საათში 125 კილომეტრს უდრიდა.

შვეიცარიელმა შაბათს 155 და 158 მეტრი აჩვენა და 427,5 ქულა მოაგროვა. მეორე იყო ჰ. ვოზიპივო (გდრ) — 395 ქულა (146 და 142 მ), III — ჩეხოსლოვაკიელი ი. რაშკა — 379 (144 და 130 მ).

სსრ კავშირის მოთხილამურეებიდან საუკეთესო შედეგი ი. კალინინმა მოიპოვა — 361 ქულით (131 და 124 მ) VII ადგილზე გავიდა. კალინინმა მსოფლიო რეკორდსმენ მ. ვოლფთან (გდრ) მხოლოდ 0,1 ქულა წააგო.

ეს საბოლოო შედეგები არ იყო. კვირას ტურნირი უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ... პლანიცაში მთელ დღეს ძლიერი ქარი ქროდა. შეჯიბრება ჩაიშალა. მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა ადგილები წინადღის მაჩვენებლების მიხედვით გაენაწილებინა. ამრიგად, თხილამურებით ფრენაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი შტაინერი გახდა. ვერცხლის მედალი მიიღო ვოზიპივომ, ბრინჯაოსი — რაშკამ. სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ჟეგლანოვი მე-14 ადგილზე გავიდა (340 ქულა; 126 და 142 მ). უნივერსიადის ჩემპიონი ა. ივანიკოვი 30-ე იყო (306,5; 106 და 109 მ). ჩვეულებრივ ტრამპლინებზე ხტომაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ნაპალკოვი 39-ე ადგილს დასჯერდა — 287 ქულა (117 და 110 მ).

მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი გიგანტური ტრამპლინიდან ფრენაში გაისად ობერსტდორფში გაიმართება.

## [illegible]-72

● **კოლომნა**, 26 მარტი. აქ მიმდინარეობს შესანიშნავი რუსი მოციგურავის ი. მელნიკოვის პრიზის გათამაშება. დღეს ასპარეზობაში ჩაებნენ ქალები. 500 მეტრზე რბოლაში ტოლი არ ჰყავდა ვ. კრასნოვას — 45,32. 1500 მეტრზე შეჯიბრებაში ყველას აჯობა ლ. სავრულინამ — 2.21,92.

● **პრაღა**, 26 მარტი. აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ჰოკეისტთა ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩი. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 9:2.

● **ლენინგრადი**, 26 მარტი. აქ გრძელდება სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება ფრენბურთელ ვაჟთა შორის. უკრაინელებმა დაამარცხეს თურქმენეთის წარმომადგენლები — 3:0, რსფსრ-მ მოუგო უზბეკეთს — 3:1. წარმატებით ითამაშეს საქართველოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაამარცხეს ლატვიელი ფრენბურთელები — 3:2.

● **ლენინგრადი**, 26 მარტი. აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ტ. ანისიმოვამ (პოლუბოიაროვა), რომელმაც 100 მეტრზე თარჯრბენში 13,6 წამი აჩვენა. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა დარბაზებისთვის.

● **ტაშკენტი**, უზბეკეთის დედაქალაქის სპორტის სასახლეში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები ჰოკეიში. მასპინძლები, ტაშკენტის „სპარტაკის" სპორტსმენები, ორჯერ შეხვდნენ პოლონეთის პროფკავშირების ნაკრებს და ორივეჯერ გამარჯვება იზეიმეს — 10:7, 9:5.

● **მოსკოვი**, 26 მარტი. დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ქალთა შორის ყველას აჯობა მოსკოველმა ზ. რუდნოვამ, ვაჟებში — ჩეხოსლოვაკიელმა მ. ორლოვსკიმ. წყვილთა შეჯიბრებაში უძლიერესნი იყვნენ რუდნოვა და ს. ფიოდოროვა, ვაჟებში — ს. გომოზკოვი და ს. სარხოიანი, შერეულ წყვილთა შორის — ი. ვოზტოვა და ორლოვსკი (ჩეხოსლოვაკია).

● **ალჟირი**, 26 მარტი. საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის მეოთხე ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ნ. გორელოვმა, II ადგილზეა კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი. პოლონელი ველომრბოლელი რ. შურკოვსკი, რომელიც ამ ეტაპამდე პირველი იყო, 20 წამით აგებს გორელოვთან.

● **მურმანსკი**, 26 მარტი. აქ მოეწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი სათხილამურო რბოლებში. 10-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი იყო ოლიმპიური ჩემპიონი, იჟევსკელი გ. კულაკოვა (41.9,0). ვაჟები 30 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა კიროვსკის ოლქის წარმომადგენელმა ი. სკობოვმა — 1:49.57.

[illegible]-72

# ფავორიტებიც მარცხდებიან

ლენინგრადის 25-მეტრიან აუზში კვირას დაიწყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" საერთაშორისო და საკავშირო პრიზების მორიგი გათამაშება ცურვაში. ტურნირში მონაწილეობენ 10 ქვეყნისა და სსრ კავშირის რესპუბლიკების უძლიერესი სპორტსმენები. ესაა ფავორიტებისა და ნაკრებში ადგილის მაძიებელთა წლევანდელი პირველი დიდი შეჯიბრება.

წინასწარი საკავშირო ტურნირები ზონებში გაიმართა და 5 საკავშირო რეკორდით აღინიშნა. ქალთა შორის რეკორდები გააუმჯობესეს ნოვოსიბირსკელმა ტ. ზოლოტნიცკაიამ — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.39,0, 14 წლის ნორილსკელმა ე. ბურმენსკაიამ — 800 მეტრზე ამავე სტილით შეჯიბრებაში — 9.35,4, მოსკოველმა ნ. პეტროვამ — 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 5.12,1.

ვაჟთა შორის თავი ისახელეს მოსკოველმა ს. ბელიც-გეიმანმა, რომელმაც 1500 მეტრზე 16.31,8 აჩვენა, და ლენინგრადელმა ი. ჩერდაკოვმა, რომელმაც 100 მეტრის ბრასით გაცურვას 1.07,2 მოანდომა. ეს უკანასკნელი შედეგი ჭაბუკთა საკავშირო რეკორდია.

გუშინწინ ლენინგრადში კიდევ ორი საკავშირო რეკორდი გაუმჯობესდა. და ორივე — წინასწარ გაცურვაში. ერთი მიღწევის ავტორი გახლავთ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი თ. ლეკვეიშვილი, რომელმაც 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.07,7) თავისივე ძველ რეკორდს 0,1 წამი „ჩამოაჭრა". ზოლოტნიცკაიამ კი რეკორდი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა — 2.09,5.

კვირა საღამოს გაიმართა ფინალური შეჯიბრებები 100 მეტრზე ბრასით და ბატერფლაით ცურვაში. ვაჟთა შორის ბრასით შეჯიბრების ფავორიტი, მსოფლიო რეკორდსმენი, მოსკოველი ნ. პანკინი დამარცხდა ახალგაზრდა ლენინგრადელ ვ. ტულიკოვთან წინასწარ ტურნირშიც და ფინალურ შეჯიბრებაშიც. ტულიკოვმა ორივეჯერ 1.03,9 აჩვენა, რაც საკავშირო მიღწევას 0,1 წამით ჩამორჩება. პანკინი II ადგილს დასჯერდა — 1.04,1.

ამავე სტილით ქალთა შეჯიბრების ფინალში მოასპარეზე 8 სპორტსმენს შორის 7 სსრ კავშირის წარმომადგენელი გახლდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა ევროპის რეკორდსმენმა, მოსკოველმა გ. სტეპანოვამ დაისაკუთრა — 1.13,8. მომდევნო ადგილებზეც სსრ კავშირის მოცურავეები — კრასნოდარელი ლ. რუსანოვა (1.15,2) და ლვოველი ტ. პრუდნიკოვა (1.15,6) გავიდნენ.

გულაღმა ცურვაში ვაჟთა შორის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი რ. მათესი (გდრ) მეორე წელია ბატერფლაის სტილითაც ასპარეზობს და მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევს: 100 მეტრზე კონტინენტის რეკორდსმენია. მათესმა ლენინგრადშიც იოლად მოიგო 100 მეტრზე ბატერფლაით შეჯიბრება...

გუშინ დილით მოეწყო მორიგი წინასწარი გაცურვები. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა შეჯიბრებაში ყველას (1.00,6), ე. ლენცმა (გდრ) აჯობა. ვაჟთა ასპარეზობაში მასპინძლებმა — ვ. ბურემ, ი. გრივენიკოვმა და ვ. მაზანოვმა ერთნაირ მაჩვენებლებს (52,8) მიაღწიეს.

# მოსწავლეებმა ძალა მოსინჯეს

ამას წინათ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის საჭიდაო დარბაზში გაიმართა თბილისის განათლების განყოფილების მოსწავლეთა პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს 1955-57 წლებში დაბადებულმა მოსწავლეებმა, რომელთაც ჭაბუკთა I-II თანრიგები ჰქონდათ. ამ საინტერესო ასპარეზობის სარბიელზე განათლების განყოფილების მოსწავლეების გარდა დაუშვეს სპორტსაზოგადოებების ნორჩი მოჭიდავეებიც. სულ შეჯიბრებაში 114 მოსწავლე მონაწილეობდა. პირველობა 11 წონით კატეგორიაში გაითამაშეს.

ტექნიკურად კარგად იბრძოდნენ 60 კგ წონის მოჭიდავეები 114-ე საშუალო სკოლის მოსწავლე რ. ზამბახიძე და რ. მურაჩაშვილი (მე-12 სკოლა). ზამბახიძემ ქულებით მოიგო ფინალური შეხვედრა და ჩემპიონობაც დაისაკუთრა.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი 70 კგ წონაში. დიდი ინტერესი გამოიწვია 123-ე სკოლის მოსწავლის ვ. როსტიაშვილისა და მე-4 საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლის გ. ლაფაჩის ფინალურმა შეხვედრამ. ამ უკანასკნელმა დამაჯერებლად ჩაატარა ბრძოლა და საკმაო ქულები ჩაიწერა აქტივში. ლაფაჩმა დამსახურებულად მოიპოვა გამარჯვებაც და I ადგილიც.

დანარჩენ წონებში კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ნ. ჯაფაროვმა (128-ე საშუალო სკოლა), ზ. რუსიშვილმა (მე-10), თ. ბეჟანიშვილმა (147-ე), ზ. დგებუაძემ (136-ე), ზ. ქსოვრელმა (მე-14), დ. ერაძემ (მე-10), თ. გუმბერიძემ (87-ე), ნ. ოვდორაშვილმა (137-ე), მ. მეკოკიშვილმა (36-ე). იგი შარშანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონია.

ქების ღირსია მსაჯთა შემადგენლობა (მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი თ. გასვიანი). მათ ჩინებულად ჩაატარეს შეჯიბრება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს დიდი დახმარება გაუწიეს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის მოსწავლე-პრაქტიკანტებმა.

შეჯიბრებამ გამოავლინა კარგი მონაცემების მქონე, პერსპექტიული მოჭიდავეები: მ. კულუმბეგოვი (119-ე საშუალო სკოლა), გ. კალატოზიშვილი (მე-14), ჟ. ჭიჭინაძე (134-ე), გ. გიგაური და კ. მახარაძე (ორივე 130-ე სკოლა).

**ო. ჩხაიძე,**
სპორტის ოსტატი.

# მიზანი — XX ოლიმპიადა

თბილისის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ძიუდოისტები წარუმატებლად გამოვიდნენ — ვერც ერთმა მონაწილემ ვერ დაიკავა I ადგილი. ამ ფაქტმა სერიოზულად შეაშფოთა რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, მით უფრო, რომ ჩვენი ათლეტები წლების მანძილზე მოწინავეთა რიგებში ირიცხებიან. აღნიშნული ტურნირის შემდეგ ერთიორად გაიზარდა ინტერესი ქართველ ძიუდოისტთა გამოსვლებისადმი. სპორტსმენებს სამჯერ მიეცათ რეაბილიტაციის საშუალება და უნდა ითქვას, რომ მომდევნო შეჯიბრებებში შეძლეს კიდეც კეთილი სახელის დაბრუნება.

ჯერ იყო და ოდერის ფრანკფურტში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში ისახელეს თავი ჩვენმა თანამემამულეებმა. საქართველოს ნაკრებმა ევროპის უძლიერეს გუნდებთან ორთაბრძოლებში I ადგილი დაისაკუთრა.

შემდეგ ლენინგრადში მოეწყო ჭაბუკთა ევროპული ჩემპიონატი. საქართველოს ათლეტებმა რ. ჰიკაიძემ (უნივერსიტეტი), ნ. ელიბაშვილმა (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) და დ. ხაბულიანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

მესამე ასპარეზობა მოსკოვში ჩატარდა. ეს იყო ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი, რომელიც მიზნად ისახავდა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა შერჩევას. ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს გ. გოგოლაურმა (საშუალო წონა, I ადგილი) და ჯ. ნიჟარაძემ (მძიმე წონა, III ადგილი). ავადმყოფობის გამო მოსკოვის სარბიელზე ვერ გამოვიდნენ რ. ხარშილაძე (საშუალო), შ. ჩოჩიშვილი (ქვემძიმე) და გ. ონაშვილი (მძიმე), მაგრამ ზემოდასახელებული ათლეტები, ისევე როგორც ტურნირის პრიზიორები და კიდევ რ. ოდიშელიძე ნაკრებში არიან ჩარიცხულნი. ამჟამად ისინი მოსკოვში გადიან წვრთნას.

მოსკოვის საკავშირო ტურნირის შემდეგ დაკომპლექტდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელშიც შევიდნენ:

63 კგ. ს. სუსლინი (ლენინგრადი), ს. მელნიჩენკო (კიევი), ვ. ბადალიაკინი (დონეცკი);

70 კგ. ა. ნოვიკოვი (ხარკოვი), ა. კოლპაკოვი (სვერდლოვსკი), ვ. დემენიკოვი (ჩელიაბინსკი);

80 კგ. გ. გოგოლაური, რ. ხარშილაძე (ორივე — თბილისი), ა. ციუპაჩენკო (მოსკოვი);

93 კგ. ე. სოლოდუხინი (მოსკოვი), ვ. პოკატაევი (ლენინგრადი), შ. ჩოჩიშვილი (გორი);

მძიმე გ. ონაშვილი (თბილისი), ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი), რ. ოდიშელიძე, ჯ. ნიჟარაძე (ორივე — თბილისი) და ხ. ნოვიკოვი (კიევი).

ასე გამოიყურება სადღეისოდ ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სია, რომლის წინაშეც ჯერჯერობით ერთი კონკრეტული ამოცანაა დასახული: ევროპულ ჩემპიონატში მონაწილეობა (შეჯიბრება დაიწყება 9 მაისს ჰოლანდიაში). მოსკოვის შეკრებაზე გაირკვევა ყოველ წონაში 2-2 ძიუდოისტის ვინაობა. ისინი ჰოლანდიას გაემგზავრებიან, იქ კი უძლიერესთაგან ჩამოყალიბდება ოლიმპიური ნაკრების საბოლოო „ვარიანტი — ყოველ წონაში თითო ათლეტი.

# ოთხი შეხვედრა — ოთხი გამარჯვება

ნიუ-იორკი, 25 მარტი. სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან ბოლო მატჩიც დამაჯერებლად მოიგო — 6,5:3,5.

კვლავ წარმატებას მიაღწია უმძიმესი წონის მოჭიდავემ რ. დმიტრიევმა. მან მეშვიდე წუთზე ბეჭებზე დასცა ჟ. მოუპსი. წმინდა გამარჯვება მოიპოვა ნ. მოდებაძემაც (მძიმე წონა), ჯ. კისლანმა თბილისელ ფალავანს მხოლოდ ორი წუთს გაუძლო.

ქულებით მოიგეს შეხვედრები ა. ნასრულაევმა (ჯ. მორლეისთან), ლ. თედიაშვილმა (ფ. ფოზარტთან) და პ. სურიკოვმა (ვ. პაოლანოსთან). ფრედ დამთავრდა ორი ბრძოლა: ზ. აბდულბეკოვ — დ. პრუჟანსკისა და შ. ლომიძე — რ. მელიქსენისა. დამარცხდა მხოლოდ ნ. ხოხაშვილი ისევ მსოფლიო ჩემპიონ უ. უოლშთან.

## ჩვენი კომენტარი

საბჭოთა მოჭიდავეებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ოთხი ბრძოლის შემდეგ ანგარიშია 26,5:13,5. ეს შედეგი კომენტარს არც საჭიროებს, მით უმეტეს, რომ ამერიკელებმა 4 ქულა უბრძოლველად მიიღეს (შტატებში წასვლა ვერ მოახერხა ი. შახმურადოვმა და საბჭოთა ნაკრებს მის წონაში მონაწილე არ ჰყავდა).

მასპინძლებმა საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრებში 29 მოჭიდავე გასინჯეს. ბევრი მათგანი ტიტულოვანი ათლეტია, ბევრიც ახალბედა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თავი უმთავრესად ვეტერანებმა გამოიჩინეს. ეს 29 მოჭიდავე, როგორც ჩანს, აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების ბირთვია. ამიტომ მასზე ღირს დაწვრილებით ლაპარაკი.

ყველაზე საპატიო შედეგს მიაღწია უ. უოლშმა (პრესაში მის გვარს ზოგჯერ ასე წერენ — უელსი). უოლშმა ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე მოუგო ნ. ხოხაშვილს. იგი გამოცდილი მებრძოლია, 1969 წელს მარ-დე-პლატის მსოფლიო ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა ზ. ბერიაშვილის შემდეგ, მომდევნო წელს კი (ედმონტონში) მსოფლიო ჩემპიონი გახდა. უოლში მიუნჰენშიც ოქროს მედლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ერთი ქულა მისცა თავის გუნდს დ. ბემმა. მან ალან-სიტში აშკარა უპირატესობით სძლია ვ. ჩერტკოვს, ანოიკში კი ამავე ჩერტკოვთან ქულებით დამარცხდა. ბემი მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისა და სოფიის 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორია. გამოცდილი ამერიკელი მიუნჰენშიც საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს.

ერთხელ გამოვიდა სარბიელზე და ქულა აიღო გ. სანდერსმა. მანაც, ისევე როგორც ბემმა, ვ. ჩერტკოვი დაამარცხა. სანდერსი აშშ-ს ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ვეტერანია, რომელმაც ჯერ კიდევ 1966 წელს მიიღო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. მას შემდეგ სანდერსი კიდევ საუკეთესო ითვლებოდა ჩვენი პლანეტის უძლიერეს მოჭიდავეთა სამეულში. 1967 წელს დელიში მან მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მიიღო, 1968 წელს ოლიმპიადის მეორე პრიზიორი გახდა, 1969 წელს კი მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი.

სამშობლოში წარუმატებლად გამოვიდა 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფ. ფოზარტი. ამაში დამნაშავეა მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ლ. თედიაშვილი, რომელმაც ორჯერ აგრძნობინა თავისი ძალა ექს-ჩემპიონს. მაგრამ ფოზარტის მარცხი არაფერს ნიშნავს. მას ყველა შანსი აქვს, რომ მიუნჰენშიც ერთ-ერთი საპრიზო ადგილისთვის იბრძოლოს.

ერთხელ გამოვიდა სარბიელზე და დამარცხდა აშშ-ს ნაკრების ვეტერანი და კაპიტანი ლ. კრისტოფი. მას აშკარა უპირატესობით მოუგო თბილისელმა მძიმეწონოსანმა ნ. მოდებაძემ. კრისტოფი, როგორც მოჭიდავე, ატესტაციას არ საჭიროებს. იგი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ჯერ კიდევ 1965 წელს და მას შემდეგ კიდევ 4-ჯერ იყო უძლიერესთა რიგებში. 1966 წელს მოიპოვა ვერცხლის მედალი, 1967 წელს — ბრინჯაოსი. მეხიკოს ოლიმპიადაში მას მონაწილეობა არ მიუღია. სამაგიეროდ, ორ მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატში კრისტოფმა კიდევ ორი ვერცხლის მედალი მიიღო.

შარშან სოფიის მსოფლიო ჩემპიონატში ამერიკელებმა ახალგაზრდა მოჭიდავე გამოიყვანეს II საშუალო წონაში — რ. ჰელიქსენი. იგი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ჰელიქსენი ამ ტურნეს პერიოდში ორჯერ გამოვიდა სარბიელზე და ქულანახევარი აიღო: წმინდად დაამარცხა პ. სურკოვი და ფრეს მიაღწია შ. ლომიძესთან. ნახევარი ქულა მოუტანა თავის გუნდს ბ. ჰარლოუმ (ფრე შ. ლომიძესთან) — 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა.

ამერიკელებს კიდევ ჰყავთ მაღალი კლასის მოჭიდავეები, რომლებიც საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ არ გამოსულან. ესენი არიან 1967 და 1970 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მესამე პრიზიორი მ. იანგი, 1969 წლის მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალოსანი ჰ. შენკი და მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი I ქვასაშუალო წონაში დ. გეიბლი. ეჭვი არ არის, ისინი მონაწილეობას მიიღებენ მიუნჰენის ოლიმპიადაში. ასე რომ, აშშ-ს ნაკრებთან ხუმრობა არ შეიძლება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკელებმა ამ ტურნეში 29 მოჭიდავე გამოიყვანეს და 13,5 ქულა აიღეს (4 — უბრძოლველად). აი, როგორაა განაწილებული ქულები ცალკეულ სპორტსმენებზე: უ. უოლში — 2, რ. ჰელიქსენი — 1,5, ქ. ტეილორი — 1, დ. ბემი — 1, გ. სანდერსი — 1, გ. ჯონსონი — 0,5, შ. კარი — 0,5, რ. ზანდერსონი — 0,5, პრუჟანსკი—0,5, ვ. პაოლინო — 0,5, ბ. ჰარლოუ—0,5.

ახლა რამდენიმე სიტყვა საბჭოთა ნაკრებზე. ამერიკულ ტურნეში საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ რ. დმიტრიევსა და ლ. თედიაშვილს. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს. უდავოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნაკრების დებიუტანტმა ნ. მოდებაძემ. მან აშკარა უპირატესობით მოუგო ლ. კრისტოფს, წმინდად — ჯ. კისლინს და ფრედ დაამთავრა ორი შეხვედრა კ. ტეილორთან, რომელიც ქართველ ათლეტზე მთელი 75 კილოგრამით უფრო მძიმეა.

გთავაზობთ საბჭოთა ნაკრების წევრთა მაჩვენებლებს ოთხივე შეხვედრის ჯამში: რ. დმიტრიევი — 4 ქულა, ა. ნასრულაევი — 3, ვ. ჩერტკოვი — 1,5, ზ. აბდულბეკოვი — 3,5, ნ. ხოხაშვილი — 2, ლ. თედიაშვილი — 4, პ. სურკოვი — 3, შ. ლომიძე — 2,5, ნ. მოდებაძე — 3.

ნ. ახვლედიანი.



## ფიშერი თამაშზე უარს ამბობს

როგორც ამსტერდამიდან იტყობინებიან, რ. ფიშერმა (აშშ) ფიდე-ს აცნობა, რომ უარს ამბობს ბელგრადსა და რეიკიავიკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის თამაშზე. ეს მატჩი, როგორც ვიუწყებოდით, 22 ივნისს უნდა დაიწყოს ბელგრადში. ამერიკელი დიდოსტატი უარს იმით ასაბუთებს, რომ არ აკმაყოფილებს იუგოსლავიისა და ისლანდიის საჭადრაკო ფედერაციების მიერ დაწესებული საპრიზო ფონდი.

ფიშერის უარმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა როგორც მომავალი მატჩის მასპინძლები, ისე ფიდე-სა და აშშ-ს ფედერაციის თავკაცები. უახლოეს ხანში ფიდე-ს ბიურო საგანგებოდ შეიკრიბება ამ საკითხზე სათათბიროდ.

როგორია ეს საპრიზო ფონდი? იუგოსლაველებმა მთელი მატჩისთვის (24 პარტიისთვის) 152 ათასი დოლარი გამოყვეს, ისლანდიელებმა — 125 ათასი. რაკი ბელგრადსა და რეიკიავიკში ნახევარ-ნახევარი მატჩი (12-12 პარტია) გაიმართება, ფონდიც შუაზე გაიყო (76 ათასი და 62,5 ათასი დოლარი). ამ თანხის 5/8 მიეცემა გამარჯვებულს, 3/8 — დამარცხებულს. როგორც ჩანს, ეს თანხა ფიშერს ეცოტავება.

## ჩემპიონატები, ტაბლოები, ლიდერები

### გდრ

ჩემპიონატის XX ტურში „მაგდებურგმა“ შინ სძლია „შტალს“ — 1:0. ბერლინის „დინამომ“ მოუგო „კარლ-მარქს-შტადტს“ — 2:0, ამასთან ორივე გოლი გაიტანა იოჰანსენმა საჯარიმო დარტყმებით.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მაგდებურგი“ | 20 | 40:21 | 28 |
| „დინამო“ (ბერლინი) | 20 | 33:16 | 27 |
| „დინამო“ (დრეზდენი) | 20 | 45:24 | 24 |

### ავსტრია

ინსბრუკის „ტიროლმა“ შინ დაამარცხა დონავიცის „ალპინა“ — 3:1. ვენაში „ვენისა“ და „რაპიდის“ შეხვედრა პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი“ | 16 | 35:10 | 24 |
| „ალპინა“ | 16 | 23:17 | 21 |
| „აუსტრია“ | 16 | 36:20 | 20 |

### ესპანეთი

XXVI ტურის ცენტრალური შეხვედრა ვალენსიაში გაიმართა: „ვალენსია“ — „რეალი“ (მადრიდი). მატჩი მოიგეს მადრიდელებმა — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 26 | 39:18 | 39 |
| „ბარსელონა“ | 25 | 32:19 | 32 |
| „ვალენსია“ | 26 | 39:22 | 32 |

### პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ“ შინ მოუგო პორტუს „ბოავისტას“ — 2:0, ხოლო სეტუბალის „ვიტორიამ“ სძლია პორტუს „ლეიქშოიშს“ — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 23 | 62:9 | 43 |
| „ვიტორია“ | 23 | 62:15 | 35 |
| „სპორტინგი“ | 23 | 42:21 | 33 |

### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ თავის მინდორზე მოუგო „ეინდჰოვენს“ — 4:1, როტერდამის „ფეიენოორდმა“ კი ფრედ ითამაშა „უტრეხტთან“ — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 25 | 66:14 | 47 |
| „ფეიენოორდი“ | 25 | 51:11 | 42 |
| „ტვენტე“ | 25 | 32:9 | 34 |

### იტალია

მილანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „მილანი“ და „ინტერნაციონალე“. შეუპოვარი ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 22 | 37:19 | 32 |
| „ტორინო“ | 22 | 27:20 | 29 |
| „მილანი“ | 22 | 26:15 | 28 |

### შვეიცარია

„ბაზელმა“ იოლად დაამარცხა ჟენევის „სერვეტი“ — 5:1. ციურიხის „გრასჰოპერსმა“ და ბერნის „იანგ ბოისმა“ ითამაშეს ფრედ — 1:1.

გათამაშების საუკეთესო სნაიპერები არიან მიულერი („იანგ ბოისი“) და „ბალმერი“ („გრასჰოპერსი“) — 11 გოლი თითოეულს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაზელი“ | 15 | 37:18 | 24 |
| „ციურიხი“ | 15 | 32:15 | 24 |
| „გრასჰოპერსი“ | 15 | 29:15 | 21 |

### ჩეხოსლოვაკია

დაიწყო ეროვნული ჩემპიონატის II წრე. ბრატისლავის „სლოვანმა“ შინ მოუგო „ნიტრას“ — 3:0, ხოლო ტრნავის „სპარტაკმა“ — პრაღის „სპარტას“ (2:0).

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლოვანი“ | 16 | 43:15 | 27 |
| „კოშიცე“ | 15 | 25:14 | 23 |
| „სპარტაკი“ | 16 | 35:15 | 21 |

### გფრ

გელზენკირხენის „შალკე 04“ შინ შეხვდა დიუსელდორფის „ფორტუნას“ და გაიმარჯვა — 3:0. მიუნხენის „ბაიერნმა“ დიდი ანგარიშით მოუგო „ბოხუმს“ — 5:1. მენჰენგლადბახის „ბორუსია“ ჰამბურგში დამარცხდა „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“ — 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „შალკე 04“ | 25 | 54:18 | 40 |
| „ბაიერნი“ | 25 | 68:23 | 39 |
| „ბორუსია“ | 25 | 59:28 | 33 |

### საფრანგეთი

მარსელის „ოლიმპიკმა“, რომელიც მასპინძლობდა „ნიცას“, გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. პარიზში ადგილობრივმა „სენ-ჟერმენმა“ ფრედ ითამაშა ნიმის „ოლიმპიკთან“ — 1:1, „სტად რენმა“ კი წააგო „სენტ-ეტიენთან“ — 2:4.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი“ (მარსელი) | 27 | 56:24 | 40 |
| „ოლიმპიკი“ (ნიმი) | 27 | 52:24 | 35 |
| „სენტ-ეტიენი“ | 27 | 59:42 | 32 |

### რუმინეთი

ბუქარესტის „სტიაუამ“ დაამარცხა „უტ არადი“ — 1:0, ბუქარესტის „რაპიდი“ დამარცხდა პიტეშტის „არჯეშთან“ — 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უტ არადი“ | 17 | 34:16 | 23 |
| „არჯეში“ | 17 | 31:23 | 22 |
| „ბაკეუ“ | 17 | 31:21 | 21 |

## ტონიმ თასი შეინარჩუნა

ადრე ვიტყობინებოდით, რომ სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში ქალებისთვის დაწესებული პრიზი ვადამდე განმეორებით ჩაისაკუთრა ავსტრიელმა ა. პრიოლმა. ვაჟთა შორის პრიზის მფლობელის ვინაობა კი ბოლო სტარტამდე უცნობი იყო.

ბოლო სტარტები სწორედ საფრანგეთის სამთო კურორტ პრა-ლუში გაიმართა. ფრანგ ა. დიუვიიარს შინ ლიდერობის განმტკიცებისა და თასის დასაკუთრების დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ჯერ სპეციალური სლალომი ჩატარდა. დიუვიიარს პირველ ცდაზე მე-13 შედეგი აღმოაჩნდა. საუკეთესო დრო თასის შარშანდელი მფლობელის, იტალიელი გუსტავ ტონის ბიძაშვილმა რ. ტონიმ აჩვენა. მას საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონი ესპანელი ფ. ოჩოა ოდნავ ჩამორჩა. რაც შეეხება გ. ტონის, რომელიც ამ სტარტამდე თასის გათამაშების ლიდერთა ხუთეულში იყო, III ადგილზე გავიდა.

დიუვიიარი, რომელსაც თასის გათამაშებაში სეზონის მანძილზე 117 ქულა ჰქონდა (მხოლოდ 3 ქულით უსწრებდა სწრაფდაშვებაში ოლიმპიადის ჩემპიონს შვეიცარიელ ბ. რიუსისა და მსოფლიო ჩემპიონს, ფრანგ ჟ.-ნ. ოჟეს) მიხვდა, რომ მისთვის თასის დასაკუთრების საკითხი სათუო გახდა. რიუსის დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, ამიტომაც მეორე ცდაზე ასეთი დიდი ტურნირებისთვისაც კი წარმოუდგენელი სისწრაფით დაეშვა და საბოლოოდ ორი ცდის ჯამში სახეობის მოგება შეძლო. მაგრამ ვალში არც გუსტავ ტონი დარჩა. იგი რისკზე როდი წავიდა, ტრასა დაკვირვებით, მშვიდად ჩაათავა და II ადგილს დასჯერდა, იმ იმედით, რომ წინ მსოფლიო თასის გათამაშების ბოლო სახეობა — გიგანტური სლალომი იყო. გუსტავი ხომ სწორედ ამ სახეობაშია ოლიმპიური ჩემპიონი.

გიგანტურ სლალომშიც ორი ცდა ჩატარდა. ტონი პირველი დაეშვა და კარგი შედეგიც მოიპოვა, მხოლოდ შვეიცარიელ ე. ბრუგმანთან წააგო 0,13 წამი. დიუვიიარს თავი არ დაუზოგავს, მაგრამ ლიდერს 1,5 წამით ჩამორჩა. თასის საკითხი ტონის სასარგებლოდ უკვე გადაწყვეტილი იყო. დიუვიიარს გამარჯვება მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ მეორე ცდაზე ტონი საუკეთესო ათეულს მიღმა დარჩებოდა.

ასე არ მოხდა. 21 წლის იტალიელი გ. ტონი მსოფლიო თასს მეორედ დაეპატრონა. დიუვიიარი II ადგილს დასჯერდა. III ადგილი ბრუგმანს ხვდა.

## ევროპის თასიც — იტალიელს

დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება სამთომოთხილამურეთა შორის. ბოლო ეტაპის შეჯიბრება შვეიცარიაში, აზაროს მთებზე გაიმართა. როცა გათამაშების ყველა ეტაპის შედეგები შეჯამდა, ქულების საუკეთესო ბალანსი იტალიელ ი. პეგორარის აღმოაჩნდა და თასსაც იგი დაეპატრონა.

ამრიგად, წლეულს ორივე თასი იტალიელ სამთომოთხილამურეებს ხვდათ.

## ქულებს ფულით ყიდულობენ

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ დაადგინა, რომ უმაღლესი „ბუნდესლიგიდან“ მოხსნას კლუბი „არმინია“ (ბილეფელდი). ეს გუნდი თამაშის კლასით აშკარად ჩამოუვარდება დანარჩენ კოლექტივებს და უმაღლესი ლიგის დატოვებაც ემუქრებოდა, მაგრამ სხვა გზა მოძებნა — მეტოქეთა მოსყიდვა.

დადგინდა, რომ გფრ-ის შარშანდელი ჩემპიონატის ბოლო 5 მატჩში „არმინიის“ წარმომადგენლებმა ფულით და სხვადასხვა მაქინაციით დატოვეს გუნდი „ბუნდესლიგაში“.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა მომავალი სეზონიდან „არმინია“ ჩაირიცხოს არა „რეგიონალლიგაში“ (II ლიგა), არამედ მოყვარულთა შორის — ე. ი. ორი რანგით დაქვეითდეს. მწვრთნელ ე. პიხაჩეკს 10 წლით აეკრძალა ამ თანამდებობაზე მუშაობა.

კომისიამ გადაწყვიტა განიხილოს „როტ-ვაისის“ (ობერჰაუზენი) საკითხიც. ხმები დადის, რომ ეს გუნდი სისტემატურად ყიდულობს ქულებს. თუ ეს ხმები დამტკიცდა, „როტ-ვაისსაც“ მკაცრი სასჯელი მოელის.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## რეკორდები

მოსკოვი, 26 მარტი. იუნიორ ძალოსანთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მოასპარეზე ქვემძიმე წონის ათლეტმა ე. პენკოვსკიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბიძგში — 208 კგ. ეს ნახევარი კილოგრამით სჯობს მეორე საბჭოთა ძალოსნის დ. რიგერტის წინანდელ მსოფლიო რეკორდს. პენკოვსკის მიღწევა პირველი მსოფლიო რეკორდია, რომელიც მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი შენობის კედლებში იშვა. ძალოსნობის კათედრას ხელმძღვანელობს წარსულში ამ სახეობის ცნობილი წარმომადგენელი ა. ვოროზიოვი. მანვე მოამზადა პენკოვსკი სასპარეზოდ. სსრ კავშირის იუნიორთა რეკორდი დაამყარა 16 წლის მოსწავლემ ს. ტრონტიანეცკიმ (მსუბუქი წონა), რომელმაც 128 კგ აწია. შეჯიბრებისთვის მას ბ. პუსტოვოიტი ამზადებდა.

## კაპიტნები ირჩევენ

ბელგრადის გაზეთ „ვეჩერნე ნოვოსტის“ სპორტულმა რედაქტორმა მ. რაშიჩმა „ოფკ ბელგრადისა“ და ეროვნული ნაკრების მოთამაშე დ. სტეპანოვიჩს გადასცა სპეციალური ჯილდო. იგი მას მიაკუთვნა იუგოსლავიის I ლიგის გუნდების კაპიტნების სპეციალური გამოკითხვის შემდეგ. მას „ტროფეი ნოვოსტი“ ჰქვია.

18 კაპიტნიდან სტეპანოვიჩი საუკეთესოდ მიიჩნია 12-მა.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04483